GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

24 Eylül / სექტემბერი 2021

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 728.6	4 274.6	-6.2%	18.5 %	12.8 %

Gürcistan Başbakanı'n BM Ziyareti
საქართველოს პრემიერ მინისტრის ვიზიტი გაეროში

Gürcistan Başbakanı Irakli Garibaşvili heyet ile birlikte New York'ta BM Genel Kurulu'nu ziyaret etti.

Meclis'in ana konuları, halkın yeni korona virüsten kurtarılması, Ekonominin sürdürülebilir Kalkınması, Dünya ihtiyaçlarının karşılaması, İnsan haklarının korunması ve BM'nin özünün yeniden canlandırılmasıydı.

Başbakan, Meclis oturumları sırasında önemli sayıda toplantıları yaptı. Görüştüğü liderler arasında Türkiye Cumhuriyeti Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan, Kuveyt Devleti Başbakanı, Avusturya Şansölyesi Sebastian Kurz ve diğerleri.

Görüşmelerin ana konular arasında Kafkasya bölgesinde barış ve istikrarın desteklenmesi, bu konudaki Gürcistan'ın fonksiyonu ve ticari ve ekonomik ilişkilerin daha da derinleştirilmesi oldu.

საქართველოს დელეგაცია, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეას ეწვია. ვიზიტის ფარგლებში პრემიერმა ღარიბაშვილმა შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა.

ასამბლეის მთავარ საკითხებს შორის იყო ახალი კორონა ვირუსისგან ხალხის გამოჯანმრთელება, ეკონომიკის მდგრადი აღდგენა, პლანეტის საჭიროებებზე რეაგირება, ადამიანის უფლებების პატივისცემა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსის გამოცოცხლება.

ასამბლეაზე გამართული სესიების ფარგლებში პრემიერმა რიგი მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართა. მათ შორის აღსანიშნავია შეხვედრა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანთან, ქუვეითის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრთან, ავსტრიის კანცლერ სებასტიან კურცსთან და სხვა.

შეხვედრების მთავარი საკითხთა შორის კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდაჭერა, ამ კუთხით საქართველოს სამშვიდობო ფუნქცია და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება იყო.

ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაგებობები · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bankası

Natia Turnava'nın Birleşik Arap Emirlikleri Ziyareti

ნათია თურნავას ვიზიტი არაბთა გაერთიანებულ საამიროებში

Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Natia Turnava Birleşik Arap Emirlikleri'nde resmi ziyareti ile bulundu. Ziyaret sırasında Bakan, meslektaşlarıyla- Birleşik Arap Emirlikleri Enerji ve Altyapı Bakanı Süheyl Al Mazrouei, Hoşgörü Bakanı - Şeyh Nahyan bin Mübarek Al Nahyan, "Abu Dabi Kalkınma Fonu" Genel Müdürü - Muhammed Saif Al Suwaidi ve "Lulu Group International" Genel Müdürü - Yusuff Ali ile, üst düzey görüşmeleri gerçeklştirdi.

Natia Turnava ve Birleşik Arap Emirlikleri Enerji ve Altyapı Bakanı Süheyl Al Mazrouei, Denizciler Sertifikasyon Sistemini tanıyan Mutabakat Zaptı imzaladılar. Görüşmelerde taraflar ticari, ekonomi, gayrimenkul, enerji, yatırım ve turizm alanlarında iki ülke arasındaki işbirliğini ele aldı. İki ülke arasındaki ilişkilerin geliştirilmesine büyük önem vererek, büyük bir potansiyelin var olması özellikle vurgulandı.

Natia Turnava'ya göre, post kovid döneminde ekonominin iyileşmesi için doğrudan yabancı yatırımların genişletilmesi çok önemlidir. Bakan ayrıca, Abu Dabi Kalkınma Fonu, Mubadala, Lulu Group International, Dubai Holding, Dubai Investment, Armada Group ve ADIA (Abu Dhabi Investment Authority) gibi Birleşik Arap Emirlikleri'nin önde gelen yatırım fonları ve kuruluşlarıyla görüşmelerde bulundu.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა სამუშაო ვიზიტით არაბთა გაერთიანებულ საამიროებს ესტუმრა. ვიზიტის ფარგლებში მინისტრმა მაღალი რანგის შეხვედრები გამართა თავის კოლეგებთან - არაბთა გაერთიანებული საამიროების ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან სუჰაილ მოჰამედ ალ მაზრუისთან, ტოლერანტობის მინისტრთან შეიხ ნაჰიან მუბარაკ ალ ნაჰიანთან, ასევე „აბუ დაბის განვითარების ფონდის“ გენერალურ დირექტორთან მუჰამედ საიფ ალ სუვაიდისთან და Lulu Group International-ის თავმჯდომარე და მმართველ დირექტორთან იუსუფ ალისთან.

ნათია თურნავამ და არაბთა გაერთიანებული საამიროების ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა სუჰაილ მოჰამედ ალ მაზროუეიმ მეზღვაურთა

სერტიფიცირების სისტემის აღიარების თაობაზე ურთიერთ აღიარების მემორანდუმს მოაწერეს ხელი. შეხვედრებზე მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა სავაჭრო-ეკონომიკურ, უძრავი ქონების, ენერგეტიკის, საინვესტიციო და ტურიზმის სფეროებში. განსაკუთრებით ხაზი გაესვა, რომ საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან ურთიერთობების განვითარებას და ამ მხრივ დიდი პოტენციალი არსებობს.

ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაგებობარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bankası

ნათია თურნავას თქმით, პოსტკოვიდ პერიოდში ეკონომიკის აღდგენისთვის პირდაპირ უცხოური ინვესტიციები და მათი გეოგრაფიის დივერსიფიკაცია მნიშვნელოვანია.

მინისტრმა ასევე შეხვედრები გამართა არაბთა გაერთიანებული საამიროების ისეთ წამყვან საინვესტიციო ფონდებთან და კორპორაციებთან, როგორებიცაა „აბუ დაბის განვითარების ფონდი“, „მუბადალა“, „ლულუ გრუპ ინტერნეშენალი“, „დუბაი ჰოლდინგი“, „დუბაი ინვესტმენტი“, „დუბაის საინვესტიციო კორპორაცია“, „არმადა ჯგუფი“ და ADIA (Abu Dhabi Investment Authority).

Namakhvani HES
ნამახვანი ჰესი


kap.org.tr/en/Bildirim/964595

ENKA
ENKA İNŞAAT VE SANAYİ A.Ş.
ENKAI

Publish Date: 20.09.2021 18.18.21
Disclosure Type: ODA
Year
Period

Notifications
Financial Statements
Corporate Actions
Display Signed

Özel Durum Açıklaması (Genel)

Özet Bilgi
Namakhvani Projesi

İlgili Şirketler []
İlgili Fonlar []

Özel Durum Açıklaması (Genel)

Yapılan Açıklama Güncelleme mi?	Evet (Yes)
Yapılan Açıklama Düzeltme mi?	Hayır (No)
Konuya İlişkin Daha Önce Yapılan Açıklamanın Tarihi	26.04.2019
Yapılan Açıklama Ertelenmiş Bir Açıklama mı?	Hayır (No)

Bildirim İçeriği

Açıklamalar

Şirketimizin, %90 ına sahip olduğu İştiraki, ENKA Renewables LLC firması, Gürcistan'daki Namakhvani Cascade HES Projesi'nin geliştirilmesi, inşası, sahiplenilmesi ve işletilmesi kapsamında Gürcistan Devleti ile 25 Nisan 2019 tarihinde imzaladığı Yap-İşlet Sözleşmesini, uzun süredir devam eden sözleşme ihlalleri ve mücbir sebeplerden dolayı feshetmek için Gürcistan Devletine bildirimde bulunmuştur.

Kamuyu Aydınlatma Platformunda Namahvani HES ile ilgili projenin feshetmediğini duyurdu. Açıklamada okuduğumuz gibi: ENKA Renewables LLC firması, Gürcistan'daki Namakhvani Cascade HES Projesi'nin Yap-İşlet Sözleşmesini, uzun süre devam eden sözleşme ihlalleri ve mücbir sebeplerden dolayı feshetmek için Gürcistan Devletine bildirimde bulunmuştur.

თურქეთის საჯარო გამჟღავნების პლატფორმაზე კომპანია ENKA Renewables-მა ნამახვან ჰესთან დაკავშირებით პროექტის შეწყვეტის თაობაზე განცხადება განათავსა. როგორც განცხადებაში ვკითხულობთ: კომპანიამ საქართველოს სახელმწიფოს აცნობა მოთხოვნა ნამახვანის ჰიდრო ელექტრო სადგურის კასკადის მშენებლობა-ფლობა-ოპერირების ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების ხანგრძლივი დარღვევისა და ფორს-მაჟორის გამო.

Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanlığı konu ile ilgili açıklama yaptı. Açıklamada belirttiği gibi Bakanlık "Enka" şirketinden projeden olası çekilme konusunda bir ön bildirim hakikaten almıştır. “Şirket bir ay sonra sözleşme feshetmeyi planlamaktadır, bunu bize önceden bildirdi.”

Açıklamada belirttiği gibi: Namakhvani Cascade HES Projesi ile beraber bizim için genel olarak tüm yatırımcıların çıkarları önemlidir, bu nedenle yatırım ortamımıza zarar vermeyecek ve aynı zamanda proje ile ilgili tüm soruları ortadan kaldıracak olan devletçe doğru kararı bulmak için yatırımcı şirketle önümüzdeki bir ay boyunca iletişimi kesinlikle devam edeceğiz. Bu amaçla bakanlık, dünyanın en yetkili arabulucu şirketlerinden birine önceden başvurmuştur.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა. განცხადებაში ვკითხულობთ, რომ სამინისტრომ ნამდვილად მიიღო კომპანია „ენკასგან“ წინასწარი შეტყობინება პროექტიდან შესაძლო გასვლის შესახებ. კომპანია ერთი თვის თავზე გეგმავს ხელშეკრულების მოშლას, რაც წინასწარ გვაცნობა.

ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაგებობარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bankası

ჩვენთვის მნიშვნელოვანია როგორც უშუალოდ ნამახვანი ჰესების კასკადის პროექტი, ასევე ზოგადად ნებისმიერი ინვესტორის ინტერესი, ამიტომ მომდევნო ერთი თვის განმავლობაში ჩვენ აუცილებლად განვაგრძობთ კომუნიკაციას ინვესტორ კომპანიასთან, რათა გამოინახოს სწორი და რაც მთავარია, სახელმწიფოებრივად გამართლებული გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენს საინვესტიციო გარემოს არ დააზიანებს და ამავე დროს, პროექტთან დაკავშირებულ ყველა კითხვას საბოლოოდ მოხსნის. აღნიშნულის მიზნით, სამინისტროს განმარტებით მათ უკვე მიმართეს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ მედიატორს.

Altın İhracatı Azaldı
ოქროს ექსპორტი შემცირდა

2021 yılın ilk 7 ayında Gürcistan'dan altın ihracatı azaldı. Buna rağmen, altın Gürcistan'ın önde gelen on ihracat ürün arasında %2,2'sini oluşturdu.

Ocak-Temmuz 2021'de 1,1 ton altın ihracatından Gürcistan 36,8 milyon dolar kazandı. Geçen yılın aynı dönemine göre satışındaki düşüş oranı %27,7; 2019 yılının 7 ayına göre ise düşüş oranı %6,4 dir.

En büyük Altın İhracatçı ülke statüsünü uzun zamandır İsviçre korumaktadır. Gürcistan'dan altın ihracatı 2021 yılın 7 ay boyunca aşağıdaki 4 ülkede gerçekleştirildi:

1. İsviçre: 1.07 ton - 34.2 milyon dolar;
2. Almanya: 0.04 ton - 1.5 milyon dolar;
3. Birleşik Arap Emirlikleri: 0.02 ton - 0.784 milyon dolar;
4. Türkiye: 0.01 ton - 0.241 milyon dolar;

მიმდინარე წლის 7 თვეში საქართველოდან ოქროს ექსპორტი შემცირდა. მიუხედავად ამისა, ოქროს რეალიზაციას ადგილობრივ ექსპორტში, 10 მთავარ საექსპორტო საქონელში 2.2%-იანი წილი უკავია.

2021 წლის იანვარ-ივლისში ქვეყანამ 1.1 ტონა ოქროს ექსპორტით 36.8 მლნ დოლარის შემოსავალი მიიღო. წინა წლის აღნიშნულ პერიოდთან შედარებით კლება 27.7%-ია, ხოლო 2019 წლის 7 თვესთან შედარებით ოქროს რეალიზაცია 6.4%-ითაა შემცირებული.

ოქროს მთავარი ექსპორტიორის სტატუსს წლების განმავლობაში შვეიცარია ინარჩუნებს. საქართველოდან ოქროს ექსპორტი მიმდინარე წლის 7 თვეში ქვემოთ ჩამოთვლილ 4 ქვეყანაში განხორციელდა:

1. შვეიცარია: 1.07 ტონა - 34.2 მლნ $;
2. გერმანია: 0.04 ტონა - 1.5 მლნ $;
3. არაბთა გაერთიანებული საამიროები: 0.02 ტონა - 0.784 მლნ $;
4. თურქეთი: 0.01 ტონა - 0.241 მლნ $;

ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაგებობარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bankası

Covid – 19

Gürcistan'da günlük Covid-19 vakalarının sayısında düşüş eğilimi devam ediyor olup günde 1698'e ulaşmaktadır. Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 11 997'e ulaştı (ortalama: 1713 kişi/gün). Bu hafta en yüksek günlük oran 21 Eylül'da kaydedildi – 2470. Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 603 763 ulaştı. Can Kaybı – 8749, iyileşenlerin sayısı – 572 353, aktif vaka ise – 22 661. Halihazırda hastanelerde 4810, otellerde ise 964 kişi tedavi görüyor, 48 kişi ise karantinadadır. Testlerdeki pozitif oranı, günlük olarak %6.61'e eşittir. Son 14 gün içerisindeki pozitif oranı %6.85'e, 7 gün içerisindeki pozitif oranı ise %6.46'e eşittir.

Bunun yanı sıra Gürcistan'da aşılama süreci de devam etmektedir. Ülkede günlük olarak 20 binden daha fazla kişiye aşı yapılarak, şu an için toplam 1 715 073 kişi aşılandı. Aşı için kayıtlar devam etmektedir. Kayıt portal: https://booking.moh.gov.ge

Dünya çapında korona virüs vakalarının sayısı 231 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 231 472 004; Can Kaybı – 4 744 170; İyileşen kişi sayısı – 208 151 260. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, İngiltere ve Rusya'da görülmüştür.

საქართველოში კორონა ვირუსის შემთხვევების დაღმავალი ტენდენცია გრძელდება და დღიურად 1698 -ს უტოლდება. მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 11 997-ს უტოლდება - 1713 კაცი საშუალოდ დღეში. ყველაზე მაღალი დღიური მაჩვენებელი 21 სექტემბერს დაფიქსირდა - 2470 ინფიცირებული. ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 603 763 შეადგინა, გარდაიცვალა 8749, გამოჯანმრთელდა 572 353, ხოლო 22 661 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 4810 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 964 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 48 ადამიანი. ჩატარებულ ტესტებში დადებითობის მაჩვენებელი დღიურად 6.61%-ს უტოლდება. ბოლო 14 დღის განმავლობაში დადებითობის მაჩვენებელი არის 6.85%, ხოლო 7 დღის 6.46%.

პარალელურად მიმდინარეობს ვაქცინაციის პროცესი. საქართველოში ჯამურად აცრა 1 715 073 ადამიანს ჩაუტარდა. დღიურად 20 ათასზე მეტი ადამიანი იცრება. ვაქცინაციაზე რეგისტრაცია უწყვეტად მიმდინარეობს. რეგისტრაციის პორტალი: https://booking.moh.gov.ge

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 231 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 231 472 004 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 4 744 170, ხოლო გამოჯანმრთელდა 208 151 260 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, დიდ ბრიტანეთსა და რუსეთს ჰყავს.

ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაგებობები · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bankası

Hava Trafiği
ავია მიმოსვლა

Düşük bütçeli havayolu şirketi Wizz Air, Kutaisi Uluslararası Havalimanı'ndan uçuşların güncellemeye devam ediyor. Haftada bir Barselona, Berlin ve Viyana uçuşları Kasım ayından itibaren yeniden başlayacak. 16 Aralık'tan itibaren ise haftada 2 kez Abu Dabi'ye direkt uçuşları başlayacak.

დაბალ ბიუჯეტიანი ავია კომპანია ვიზ ეარი ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან რეისების აღდგენას აგრძელებს. ბარსელონა, ბერლინი და ვენის მიმართულებით ფრენები ეტაპობრივად ნოემბრიდან კვირაში ერთი სიხშირით აღდგება. ხოლო 16 დეკემბრიდან, კვირაში 2 სიხშირით აბუ-დაბის მიმართულებით პირდაპირი რეგულარულ რეისები შესრულდება.

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.1179 **TRY/GEL** – 0.3601 **EUR/GEL** – 3.6532 **GBP/GEL** – 4.2650

USD/GEL
17 - 24 Eylül 2021

USD/TR
17 - 24 Eylül 2021

TRY/GEL
17 - 24 Eylül 2021

BTC – 47 920.50
17 - 24 Eylül 2021



ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაგებობები · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bankası